შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა:

საპროტესტო აქციებში მონაწილე აქტივისტების დაკავებისა და დაჯარიმების პროცესები

2024

უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: ნინო ჩალაძე

რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი

ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

I. შესავალი 4

II. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება 5

III. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 6

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები..... 8

IV. მასობრივი უსაფუძვლო დაკავებები და თანმხლები ძალადობის შემთხვევები..... 9

V. უფლება სამართლიან სასამართლოზე.....12

- ჯარიმა თუ რეპრესიული მექანიზმი..... 15

VI. დასკვნა 17

VII. რეკომენდაციები 18

I. შესავალი

საქართველოში განსაკუთრებული პროტესტი მოჰყვა კანონს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, იგივე - რუსულ კანონს, რომელსაც, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებით, არანაირი კავშირი არა აქვს გამჭვირვალობის უზრუნველყოფასთან, რადგან მისი მთავარი მიზანი სიტყვის თავისუფლების ჩახშობა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტიგმატიზაცია და კრიტიკული მოსაზრებების გაქრობაა. ამ კანონთან დაკავშირებულ საპროტესტო აქციებზე გამოიკვეთა შეკრების და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები და უსაფუძვლო დაკავებები. ასეთი დაკავებების პრაქტიკას, თავის მხრივ, ხელს უწყობს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც საჭიროებს სრულყოფილ რეფორმას.

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტი მიზნად ისახავს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ანალიზის საფუძველზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებას, მასობრივი უსაფუძვლო დაკავებების შემთხვევებისა და მისი თანმდევი ძალადობის ფაქტების განხილვას, სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელობისა და ჯარიმების შესაძლო რეპრესიული მიზნებისთვის გამოყენების პრაქტიკას.

ანალიტიკური დოკუმენტი მიმოიხილავს უფლებას სამართლიან სასამართლოზე და ისეთი სახის დარღვევებს, როგორიცაა: დაკავების მაქსიმალური ვადის გამოყენება; არასაკმარისი დროის გამოყოფა დაცვის მოსამზადებლად; ობიექტური მტკიცებულებების მოპოვების საჭიროების უგულებელყოფა; მცდარი დაკავების ოქმებით ხელმძღვანელობა; ბლანკეტური გადაწყვეტილებების მიღება და სხვა.

II. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია, ერთი მხრივ, აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების დაცვა,[1] ხოლო, მეორე მხრივ, შეკრების თავისუფლება.[2] რაკი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, ამ უფლებებში ჩარევის შემთხვევაში, უნდა შეფასდეს, ჩარევის ლეგიტიმური მიზანი (1), გამოსადეგობა (2), აუცილებლობა (3) და პროპორციულობა (4),[3] რათა დადგინდეს ჩარევის კონსტიტუციურობა. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, ამიტომ მისი მაღალი სტანდარტით დაცვა აუცილებელია საზოგადოების დემოკრატიული ფუნქციონირებისთვის.[4]

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს უკვე დადგენილი აქვს პრაქტიკაში შეზღუდვების პროპორციულობის სტანდარტი, რომლის თანახმად, ასევე, მხედველობაშია მისაღები, იწვევს თუ არა შეზღუდვა გარკვეულ მსუსხავ ეფექტს. მაგალითისთვის, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე, სადაც ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას მოლდოვას მთავრობამ შეკრების თავისუფლება შეუზღუდა. შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა დასახელდა, რადგან მთავრობის აზრით, აქციას შესაძლოა გამოეწვია დაძაბულობა კომუნისტური პარტიის მხარდამჭერებში, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენდნენ. ასევე, განმცხადებლის მოწოდებები რუსული ოკუპაციის შესახებ იწვევდა აგრესიას რუსების წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების თქმით, მათ გაითვალისწინეს მოლდოვას ინტერესი რუსეთის ფედერაციასთან კარგი ორმხრივი ურთიერთობების შესანარჩუნებლად. ამ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-11 მუხლის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების დარღვევა დაადასტურა და ხაზი გაუსვა მსგავსი შეზღუდვებით გამოწვეული მსუსხავი ეფექტის ნეგატიურ ზეგავლენას.[5]

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის თანახმად, ადამიანის მცირე ხნით დაკავებაც კი პირდაპირ გავლენას ახდენს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე, ვინაიდან იზღუდება თავისუფლად გადაადგილების უფლება, ან თვით თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება, რომელიც

---

[1] საქართველოს კონსტიტუცია, მ. 17

[2] საქართველოს კონსტიტუცია, მ. 21

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის 2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II; გვ. 4,28; 129-133; 46-70; 38.

[4] Bychawska-siniarska D., Protecting the Right to Freedom of Expression Under the European Convention on Human Rights, Council of Europe, 2017, P 11-17.; იხ. ბმული

[5] Christian Democratic People's Party v. Moldova, no. 28793/02, ECtHR 2006- II; Para 77,7 იხ. ბმული

დაცულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით.[6]

ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის სახელმძღვანელო პრინციპებში ხაზგასმულია, რომ შეკრებების დროს პირის დაკავება შეიძლება მხოლოდ სერიოზული სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ძალადობრივი ქცევის დროს, როდესაც აბსოლუტურად აუცილებელია დანაშაულის აღკვეთა. ამასთან, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ დემონსტრანტი არ იყოს დაკავებული მხოლოდ პოლიციელებთან შეუთანხმებლობის გამო.[7]

საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებათა სტანდარტებს არ შეესაბამება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელსაც სიღრმისეული რეფორმა სჭირდება.[8]

III. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

საქართველოში მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი საბჭოთა კავშირის დროინდელია. ის ძალაში 1984 წლის 15 დეკემბერს შევიდა და მას შემდეგ ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე რეპრესიულ საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს. იმ პერიოდში ადამიანის უფლებები არ იყო საჯარო პოლიტიკის დღის წესრიგში. შესაბამისად, ვერც კოდექსი სთავაზობს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემულ პირს იმ საბაზისო საპროცესო უფლებებს, რომელთა დაცვა გარანტირებულია საქართველოს მოქმედი კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით. არასაკმარისი პროცედურული გარანტიების გამო, კოდექსი ვერ იცავს მოქალაქეს სამართალდამცველთა თვითნებობისგან და ვერც სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას უზრუნველყოფს.[9]

საქართველოში არსებული კანონმდებლობის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი თავისი არსით მოიცავს ნაკლებად მძიმე ქმედებებს, ვიდრე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი პასუხისგებაში მიცემულ პირს აღჭურავს უფრო დაბალი

[6] საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი; მ. 4, 9; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მ. 5, ოქმი № 4, მ. 2.

[7] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) OSCE OFFICE FOR DEMOCRATIC INSTITUTIONS AND HUMAN RIGHTS (OSCE/ODIHR) GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY; CDL-AD(2019)017; 2019; para 220; იხ. ბმული

[8] ნეტგაზეთი; „რატომ არის აუცილებელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმა?"; 17.10.2022; (ბოლონახვა: 15.10.2024); იხ. ბული

[9] ადამიანის უფლებათა ცენტრი; ლაზარე ჯიბლაძე; "ადმინისტრაციული შეცდომა ქართული სამართალშემოქმედების ჩრდილქვეშ"; 2021; გვ.5; იხ. ბმული

პროცესუალური სტანდარტებით, ვიდრე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამის მიუხედავად, სწორედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს ისეთ მკაცრ რეპრესიულ მექანიზმებს, როგორიცაა, მაგალითად, 48 საათის განმავლობაში პირის ადმინისტრაციული დაკავება.[10]

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებით, 2021 წლის 29 აპრილს „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ განხორციელებული ცვლილებებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი კიდევ უფრო რეპრესიული გახდა. ცვლილებების თანახმად, გაიზარდა ადმინისტრაციული პატიმრობის ვადები და გამკაცრდა სანქციები წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციის მოთხოვნის დაუმორჩილებლობისათვის. კერძოდ, მანამდე კოდექსში არ იყო გათვალისწინებული პატიმრობის მინიმალური ვადა წვრილმანი ხულიგნობისთვის (მუხლი 166) და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის (მუხლი 173). ცვლილებების შემდეგ ეს ვადა მინიმუმ 7 დღით განისაზღვრა. ასევე, გაიზარდა ჯარიმების ოდენობაც. მაგალითად, 166-ე მუხლის შემთხვევაში ცვლილებებამდე გათვალისწინებული ჯარიმა 500-1000 ლარი იყო, ხოლო ცვლილებების შემდეგ ეს თანხა ათასი ლარით გაიზარდა და 1500-2000 ლარით განისაზღვრა.[11]

კოდექსის ცვლილების საჭიროება აღიარებულია საქართველოს ხელისუფლების მიერ, რომელმაც რეფორმის განხორციელების მიზნით 2014 წელს სამთავრობო კომისია შექმნა. თუმცა, კოდექსის სისტემური გადასინჯვა არ მომხდარა. ასევე, 2019 წელს იყო კოდექსის რეფორმის მცდელობა, მაგრამ აღნიშნული პროექტიც ჩავარდა.[12] ამგვარად, კოდექსი გამოიყენება შეკრების უფლების შესაზღუდად, რაც პოლიციას უტოვებს მექანიზმს, თავისი ძალაუფლება გამოიყენოს დაუსაბუთებლად, მათ შორის, აქციის მონაწილეების მიმართ.[13]

სამოქალაქო სექტორი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ამ ფორმით მოქმედებას უკვე წლების განმავლობაში აპროტესტებს. საბჭოთა მმართველობის პერიოდში მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შეცვლის და ახალი კოდექსის შემუშავების საჭიროებას არაერთ ანგარიშში

[10] სოციალური სამართლიანობის ცენტრი; „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი კიდევ უფრო რეპრესიული ხდება“; 28.04.2021; იხ. ბმული

[11] ნეტგაზეთი; „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე გამკაცრებული სანქციები მე-3 მოსმენითაც მიიღეს“; 29.04.2021; (ბოლო ნახვა: 15.10.2024); იხ. ბმული

[12] ადამიანის უფლებათა ცენტრი; ლაზარე ჯიბლაძე; “ადმინისტრაციული შეცდომა ქართული სამართალშემოქმედების ჩრდილქვეშ”; 2021; გვ.6; იხ. ბმული

[13] ნეტგაზეთი; „რატომ მკაცრდება სანქცია წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციის დაუმორჩილებლობაზე“ 26.04.2021; (ბოლო ნახვა: 15.10.2024); იხ. ბმული

გაუსვა ხაზი საქართველოს სახალხო დამცველმაც.[14] ასევე, კოდექსის ხარვეზებზე ყურადღება გაამახვილა არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ.[15]

- **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები**

პრაქტიკაში, ყველაზე ხშირად სამართალდამცავების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცველის დაუმორჩილებლობა) მუხლები გამოიყენება მოქალაქეთა შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების შესაზღუდად.

პროტესტის ჩახშობის მიზნით აქტივისტების 166-ე და 173-ე მუხლებით დაკავება ჩვეულ პრაქტიკას წარმოადგენს. საკანონმდებლო ცვლილებების ქრონოლოგიის თანახმად, ამ მუხლებით გათვალისწინებული სასჯელი იკლებს მაშინ, როცა ხელისუფლება ახალი შეცვლილია და იმატებს მაშინ, როცა ხელისუფლება ძალაუფლების გახანგრძლივებაზე ზრუნავს. მაგალითად, 2014 წელს ახალმოსულმა მთავრობამ 90-დან 15 დღემდე შეამცირა წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციელის დაუმორჩილებლობისთვის განსაზღვრული პატიმრობის ვადა, ხოლო 2018 წელს ამავე სამართალდარღვევებისთვის გათვალისწინებული ჯარიმები მკვეთრად გაიზარდა. კერძოდ, 100-ლარიანი ჯარიმა 500-1000 ლარიანმა ჯარიმამ ჩაანაცვლა, ხოლო 250-ლარიანის ნაცვლად, ჯარიმად 2000-4000 ლარი განისაზღვრა.[16]

ყოველწლიურად ასობით ადამიანს აკავებენ საპროტესტო აქციებზე, მათგან ყველაზე ხშირად დაკავება სწორედ წვრილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცავის მიმართ დაუმორჩილებლობის მუხლებით ხდება. შესაბამისად, ამ სამართალდარღვევების ფაქტების აღრიცხვასთან მიმართებაშიც, ყოველ წელს მაღალია სტატისტიკური მონაცემები. აქვე აღსანიშნავია, რომ 2024 წელს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ - რუსული კანონის საწინააღმდეგო აქციებზე, ერთ თვეში, 15 აპრილიდან 15 მაისამდე პერიოდში მხოლოდ 166-ე და 173-ე მუხლებით პოლიციამ 185 ადამიანი დააკავა.[17]

---

[14] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში; „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“; 2020; გვ. 144; იხ. ბმული

[15] Human Rights Watch; „Administrative Error - Georgia's Flawed System for Administrative Detention“, 2012; იხ. ბმული. გაეროს გენერალური ასამბლეის, ადამიანის უფლებათა საბჭოს, თითნებური დაკავებების სამუშაო ჯგუფის ანგარიში, 2012; იხ. ბმული

[16] რადიო თავისუფლება: "რაც შეიძლება მკაცრი სასჯელი - როგორ ცვლიდა ხელისუფლება კანონს და ავიწროებდა სივრცეს პროტესტისთვის"; 06.08.2024; (ბოლო ნახვა 22.10.24); იხ. ბმული

[17] რადიო თავისუფლება: "რაც შეიძლება მკაცრი სასჯელი - როგორ ცვლიდა ხელისუფლება კანონს და ავიწროებდა სივრცეს პროტესტისთვის"; 06.08.2024; (ბოლო ნახვა 22.10.24); იხ. ბმული

IV. მასობრივი უსაფუძვლო დაკავებები და თანმხლები ძალადობის შემთხვევები

2024 წელს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“, იგივე - რუსული კანონის ხელახალი ინიციირების შემდეგ, თბილისის ქუჩები მასობრივმა და უწყვეტმა საპროტესტო აქციებმა მოიცვა ლოზუნგით: „კი ევროპას, არა რუსულ კანონს!“[18] აღსანიშნავია, რომ საპროტესტო აქციების პარალელურად, ხელისუფლება უფლებადამცველთა წინააღმდეგ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით აწარმოებდა დეზინფორმაციულ კამპანიას და იმეორებდა „შიდა მტრის“ ნარატივს. ასევე, დაფიქსირდა უფლებადამცველთა დაშინების, მათ მიმართ ფიზიკური ძალადობის, სახლებთან დახვედრის, სატელეფონო ზარებისა და მუქარის გამოყენების შემთხვევებიც.[19]

ჯერ კიდევ 2023 წლის 7-8 მარტის აქციებზე, აქციის მონაწილეთა დაკავება არა კონკრეტული სამართალდარღვევის აღკვეთას, არამედ აქციის ტერიტორიიდან დემონსტრანტების განურჩევლად გაყვანას ემსახურებოდა. აკავებდნენ შემთხვევითობის პრინციპით ყველა იმ პირს, ვინც აქციის დაშლის ოპერაციის პროცესში შერჩებოდათ. ამგვარად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 7-8 მარტის აქციებზე ადმინისტრაციული წესით 149 ადამიანი დააკავეს, ხოლო სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცნობით, აქციაზე უფლებათა დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით 123 შეტყობინება შევიდა.[20]

განსაკუთრებით აღსანიშნავია 2024 წლის 30 აპრილის, 1 და 13 მაისის მშვიდობიანი აქციები, რომლებიც სამართალდამცველებმა უკანონოდ, არაპროპორციული ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენებით დაარბიეს. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები აკვირდებოდნენ აქციების მიმდინარეობას და აღწერდნენ სამართალდამცველთა მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენების, აქციის მონაწილეთა უკანონო დაკავებებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების შემთხვევებს. მათი ანგარიშებიდან აღსანიშნავია, რომ შსს-ს წარმომადგენლები იღებდნენ აქციის აქტიური მონაწილეების და ორგანიზატორების

[18] Civil Georgia; სიახლეების ბლოგი: „კი ევროპას, არა რუსულ კანონს“ – აქციები „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტის წინააღმდეგ; 05.06.2024; იხ. ბმული

[19] ადამიანის უფლებათა ცენტრისა და OMCT/FIDH - უფლებადამცველთა დაცვის ობსერვატორიის ერთობლივი განცხადება, „უფლებადამცველების მდგომარეობის სერიოზული გაუარესება საქართველოში“; 26.06.2024; იხ. ბმული; ასევე, ნინო ჩალაძე; „სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დევნა“; 2024; იხ. ბმული.; ასევე, ინტერპრესნიუსი; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის განცხადება, 24.05.2024; იხ. ბმული

[20] საია; „ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ 7-9 მარტის აქციის დაშლასა და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შეფასება“; 2023; გვ. 43-44; იხ. ბმული; ასევე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადება 7-9 მარტის აქციებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების თაობაზე; 13.04.2023; იხ. ბმული

ფოტოებს, რის შემდეგაც იწყებოდა აქციის მონაწილეთა დევნა, ადმინისტრაციული დაკავება და მათზე ფიზიკური ძალადობა.[21]

მასობრივი ძალადობრივი დაკავებების უსაფუძვლობა კარგად ჩანს ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარმოებულ საქმეებშიც. ცენტრის იურისტები უფასო იურიდიულ დახმარებას უწევდნენ საპროტესტო აქციებზე დაკავებულ პირებს. მათ მიერ წარმოებულ საქმეებში არცერთი აქტივისტის შემთხვევაში არ გამოვლენილა სამართალდარღვევა, რომლის აღკვეთის მიზნითაც გამართლებული იქნებოდა ამა თუ იმ აქციის მონაწილის დაკავება. ამ ყოველივეს ადასტურებს 2024 წლის მაისის საპროტესტო აქციებზე დაკავებულთა ისტორიები:

- დ.ჯ. სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტია. ის აქციებზე სამედიცინო ნივთებით გადაადგილდებოდა და ეხმარებოდა დარბევის დროს დაზარალებულ მონაწილეებს. დაკავების პროცესში მას თავს დაესხა პოლიციელების ჯგუფი, რომლებმაც მას სცემეს და თმით ითრიეს. არსებობს აღნიშნული ფაქტების ამსახველი ვიდეომასალაც.
- პოლიციის კორდონი ხალხისკენ როცა წავიდა, ლ.გ. უკან დახევას ცდილობდა, რა დროსაც პარლამენტთან არსებულ ჯაჭვს წამოედო და წაიქცა. სწორედ ამ დროს დააკავეს და სცემეს ის პოლიციის წარმომადგენლებმა.
- გ.ჟ. ზურგით იდგა სპეცრაზმის კორდონთან. ამ დროს მას თავს დაესხნენ ნიღბიანი სპეცრაზმელები და დაკავების მთელი პროცესის მანძილზე განაგრძობდნენ მის ცემას.
- გ.ბ., რომელიც რუსეთის მოქალაქეა და აქციაზე რუსული რეჟიმის გაპროტესტების მიზნით იმყოფებოდა, დააკავეს სურათების გადაღების დროს. მას წაართვეს კამერა და სათვალე, სცემდნენ დაკავების მომენტში, გზაში და ამის პარალელურად, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფასაც.
- ასევე დაესხნენ თავს ნ.კ.-ს, ბ.ჭ.-ს და თ.ა.-საც, რომლებსაც მანქანამდე მიყვანის პროცესში მთელი გზა სცემდნენ, ასევე გამეტებით ურტყამდნენ ძირს დაგდებულსაც.
- ჟურნალისტების წინაშე დააკავეს ანტისაოკუპაციო მოძრაობის - „ძალა ერთობაშია“ ლიდერი დავით ქაცარავა, როცა ის სიტყვით მიმართავდა სამართალდამცავებს და რუსულ რეჟიმთან ბრძოლის საჭიროებას უსვამდა ხაზს. მისი თქმით, შსს-ს სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრებმა დროის სხვადასხვა მონაკვეთში მას ხუთჯერ სცემეს გინებისა თუ სხვა შეურაცხმყოფელი შეძახილების პარალელურად.[22]

[21] ადამიანის უფლებათა ცენტრი; „ადამიანის უფლებებზე მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში“; 03.10.2024; გვ. 3; იხ. ბმული.

[22] რადიო თავისუფლება; "ცემის შემდეგ სურათებს თუ ვიდეოებს მიღებდნენ, ეს უნდა გადავაგზავნოთო" - დავით ქაცარავა; 15.05.2024; იხ. ბმული; საქართველოს ამბები; „ყურში ჩამესმა ერთ-ერთი ჯალათის შეძახილი - მოკალი“ - ქაცარავა ცემის დეტალებს იხსენებს; 21.05.2024; იხ. ბმული

- სამოქალაქო აქტივისტის, ლაზარე გრიგორიადისის თქმით, მისი დაკავება პოლიციას წინასწარ ჰქონდა განზრახული, ურტყამდნენ ფეხებს თავის არეში და აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას. ასევე, ფიზიკური დაზიანებები ჰქონდა მის მეგობარ გოგონასაც, რომელმაც თქვა, რომ პოლიციის წარმომადგენლებმა რამდენჯერმე ჰკითხეს, გოგო იყო თუ არა და როცა დარწმუნდნენ, რომ გოგო იყო, გაუშვეს.[23]



ძალადობრივი ფაქტების მეტად თვალსაჩინოდ წარმოჩენის მიზნით, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 2024 წლის 15 აპრილიდან 17 მაისამდე პერიოდში სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა საპროტესტო აქციების დროს დაკავებული 180 პირი მოინახულეს, რომელთაგან 93 პირი, ანუ ნახევარზე მეტი, პოლიციის მხრიდან მათ მიმართ დაკავების პროცესში ან/და იზოლატორში გადაყვანამდე არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა.[24]

ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სამართალდამცავებმა მაქსიმალურად უნდა აირიდონ თავიდან პროტესტის მონაწილეთა მასობრივი დაკავებები, რადგან საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა სტანდარტების მიხედვით მსგავსი ქმედება შესაძლოა თავისუფლების თვითნებურ აღკვეთადაც ჩაითვალოს. იმისათვის, რომ შეკრებაში მონაწილე პირის დაკავება იყოს გამართლებული, საჭიროა დაცული იყოს შეკრებების დროს დაკავებისთვის გათვალისწინებული მაღალი სტანდარტი. ხშირად, აუცილებლობის

[23] რადიო თავისუფლება; ადვოკატის თქმით, ლაზარე გრიგორიადისს დაკავების დროს ფიზიკურად გაუსწორდნენ; 15.05.2024; იხ. ბმული; რადიო თავისუფლება; „ლაზარე გრიგორიადისი იზოლატორს 16 მაისს დატოვებს - პოლიციამ პატიმრობის ვადა 48 საათამდე გაახანგრძლივა“ 15.05.2024; იხ. ბმული

[24] IPN; Public Defender's Office: From April 15 to May 17, representatives of the Public Defender visited 180 people arrested during the protests, 93 persons indicated ill-treatment by the police; 17.05.2024; იხ. ბმული

შემთხვევაში, მიზანშეწონილია შეკრების მონაწილე პირების დაკავების გადადება იქამდე, სანამ ღონისძიება არ დასრულდება. მნიშვნელოვანია, მოხდეს მხოლოდ იმ პირების დაკავება, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ უკანონო ქმედებებში.[25] შესაბამისად, ყოვლად დაუშვებელია აქციის მონაწილეთა დაკავება მათი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მიზნით, აქტიური მონაწილეების სამიზნედ ქცევითა თუ შემთხვევითობის პრინციპით.

ამის საპირისპიროდ, 2024 წლის აპრილი-მაისის პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომიტინგეების დარბევის დროს, აქციის მონაწილეთა მიმართ დაკავების პროცესში, ანდა დაკავების შემდეგ, დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანისას არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებით, შესაძლოა წამებას გაუთანაბრდა. ადმინისტრაციული დაკავებების პრაქტიკა კი კვლავ შეკრებისა და თავისუფლების შეზღუდვის ინსტრუმენტად იყო ქცეული. ამასთანავე, ფიზიკური ანგარიშსწორებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლნი, ძირითადად, გახდნენ სამოქალაქო აქტივისტები და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.[26]

საქართველოს კონსტიტუცია,[27] ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია[28] კრძალავს ადამიანის წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, ასევე არაადამიანური ანდა დამამცირებელი სასჯელის გამოყენებას. თანამედროვე სამართლებრივი განმარტებით, შესაძლოა წამებად შეფასდეს ის, რაც ადრე მიჩნეული იყო არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობად.[29]

V. უფლება სამართლიან სასამართლოზე

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის თანახმად, ყველა პირი თანასწორია სასამართლოს წინაშე. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, რომ მისი საქმე სამართლიანად განიხილოს კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.[30] ერთი მხრივ, პარლამენტთან მიმდინარე შეკრებები იყო კანონიერი და მშვიდობიანი, ხოლო, მეორე

[25] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) OSCE OFFICE FOR DEMOCRATIC INSTITUTIONS AND HUMAN RIGHTS (OSCE/ODIHR) GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY; CDL-AD(2019)017; 2019; para 35, 220; იხ. ბმული

[26] საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადება; "30 აპრილი - 1 მაისის აქციის დარბევის სამართლებრივი შეფასება"; 01.05.2025; იხ. ბმული

[27] საქართველოს კონსტიტუცია; მ. 9(1)

[28] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მ. 3

[29] საქართველოს უზენაესი სასამართლო, „წამების აკრძალვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისს მე–3 და მე–6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში" 2019; იხ. ბმული; ასევე, ადამიანის უფლებათა ცენტრი; „ადამიანის უფლებებზე მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში"; 03.10.2024; გვ. 3; იხ. ბმული.

[30] საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მ. 14

მხრივ, პოლიციამ დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყენა არათანაზომიერი ძალა და გააგრძელა პრობლემური ადმინისტრაციული დაკავებების პრაქტიკა. ამიტომ, მეტი მნიშვნელობა შეიძინა დაკავებული დემონსტრანტების სასამართლო პროცესებმა. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო სექტორმა მოუწოდა საერთო სასამართლოების მოსამართლეებს, რუსული კანონის საწინააღმდეგო მშვიდობიანი შეკრების დროს დაკავებული მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების დაცვისკენ, რათა მათ არ მიეღოთ უკანონო და უსამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც წაახალისებდა საპოლიციო თვითნებობას ქვეყანაში.[31]

ამ მოწოდების მიუხედავად, დაირღვა დაკავებულთა მრავალი უფლება, რომელიც უკავშირდება უფლებას სამართლიან სასამართლოზე. მათ შორის, დარღვევები გამოიხატა შემდეგში:

1. **დაკავების მაქსიმალური ვადის გამოყენება.** ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირი პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა, უნდა წარედგინოს სასამართლოს. ეს ვადა შეიძლება ერთჯერადად გახანგრძლივდეს არაუმეტეს 24 საათისა მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. ამისათვის, უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისმა თანამშრომელმა წერილობით უნდა დაასაბუთოს ვადის გაგრძელების მიზანშეწონილობა. თუმცა, ხშირად, ვადის გაგრძელების მოთხოვნა არ იყო საკმარისად დასაბუთებული. მეტიც, დაკავებულების გათავისუფლება ხდებოდა დაკავებისთვის მაქსიმალური ვადის გასვლის შემდეგ მაშინ, როცა დაკავებული პირის გათავისუფლება დამოკიდებული უნდა იყოს დაკავების საფუძვლის ამოწურვაზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სათანადო დასაბუთების გარეშე ადმინისტრაციული წესით დაკავების მაქსიმალური ვადის გამოყენება უკანონოა.[32] დამატებით, რიგ შემთხვევებში, პროცესები იმართებოდა ღამით, ან დაკავებულებს უწევდათ დიდი ხნის განმავლობაში მანქანაში ყოფნა, რაც შესაძლოა არასათანადო მოპყრობასაც კი გაუთანაბრდეს.[33] სამართლიანი სასამართლოს გარანტიებით სარგებლობას ეწინააღმდეგება დაკავებული პირის მიერ სასამართლოში მთელი დღით საქმის განხილვის რიგის ლოდინი მაშინ, როცა რამდენიმე საქმეს ერთი და იმავე მოსამართლე განიხილავს.[34]

---

[31] „კოალიცია: მოსამართლეებმა უნდა დაიცვან აქციაზე დაკავებული მშვიდობიანი მანიფესტანტების უფლებები“; 17.04.2024; იხ. ბმული

[32] საია; „საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით სათანადო დასაბუთების გარეშე ადმინისტრაციული დაკავების მაქსიმალური ვადის გამოყენება უკანონოა“; 29.12.2020; იხ. ბმული

[33] ნეტგაზეთი; „საბჭოთა კანონმდებლობა აქტივისტების წინააღმდეგ — როგორ კლავენ პროტესტს საქართველოში“; 18.10.2023; იხ. ბმული

[34] საქართველოს სახალხო დამცველი; „სახალხო დამცველის განცხადება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და სამართლიანი სასამართლოს გარანტიებით სარგებლობის შესახებ“; 13.06.2018; იხ. ბმული

2. **არასაკმარისი დრო დაცვის მტკიცებულებების მოსაპოვებლად.** დაკავებულებს არ ჰქონდათ საკმარისი დრო მტკიცებულებების მოსაპოვებლად. გაეროს თვითნებური დაკავებების სამუშაო ჯგუფის ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროცედურა რომელიც მოითხოვს საქმის განხილვას 24 საათის განმავლობაში, არ ითვლება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში,[35] რადგან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, უფლება სამართლიან სასამართლოზე მოიცავს უფლებას ადეკვატურ დროზე დაცვის მოსამზადებლად.[36] მოცემულ შემთხვევებში, დაცვის მხარეს მტკიცებულებების მოსაპოვებლად არაგონივრული ვადა ეძლეოდა, მითუმეტეს - მაშინ, როცა ზოგიერთი ადვოკატი სასამართლოში პირველად ხვდებოდა თავის დაცვის ქვეშ მყოფს და რიგ შემთხვევებში, 1 საათში უწევდა დაცვისთვის მომზადება.

3. **ობიექტური მტკიცებულებების მოპოვება.** მიუხედავად იმისა, რომ უფლება სამართლიან სასამართლოზე ობიექტური მტკიცებულებების გამოკვლევის შესაძლებლობას გულისხმობს, ძირითადად, აქციაზე დაკავებული პირების პროცესებზე, პოლიციელებს სასამართლოში არ წარუდგენიათ სამხრე კამერების ჩანაწერები. ამის მიზეზი შესაძლოა ის იყოს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის გამო, პოლიციის წარმომადგენლებს უკვე გააზრებული აქვთ, რომ მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაშიც კი, სასამართლომ შესაძლოა სამართალდარღვევა დადგენილად მიიჩნიოს. ამიტომ ისინი მტკიცებულებების შესაგროვებლად თავს აღარ იწუხებენ და სასამართლო პროცესზე ამბობენ, რომ მაგალითად, სამხრე-კამერა დარჩათ ან ჩართვა დაავიწყდათ.[37]

4. **გაყალბებული დაკავების ოქმები.** შეინიშნებოდა მასშტაბური პრობლემა ადმინისტრაციული დაკავების ოქმის შედგენასთან დაკავშირებით, რაც შემდგომ სასამართლოშიც აისახებოდა. უფრო კონკრეტულად, ოქმში, როგორც წესი, არასწორად იყო მითითებული დაკავების დრო, ხოლო ინფორმაცია დამკავებელი სამართალდამცავის შესახებ იყო მცდარი. სამწუხაროდ, დამკვიდრებული პრაქტიკაა, რომ დაკავება ხორციელდება ერთი პოლიციელის მიერ, რომელიც ოქმში არ ფიქსირდება, ხოლო სასამართლოში ცხადდება და ჩვენებას აძლევს სრულიად სხვა პოლიციელი.[38]

5. **დაუსაბუთებელი და ბლანკეტური გადაწყვეტილებები.** უფლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე არის სამართლიანი სასამართლოსთვის

---

[35] გაეროს გენერალური ასამბლეის, ადამიანის უფლებათა საბჭოს, თითნებური დაკავებების სამუშაო ჯგუფის ანგარიში, 2012; para 64, 66; იხ. ბმული

[36] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მ.6

[37] ნეტგაზეთი; რატომ არ მიაქვს სასამართლოში პოლიციას სამხრე კამერის ჩანაწერები სამართალდარღვევის საქმეებზე; 10.10.2022; იხ. ბმული

[38] ნეტგაზეთი; „საბჭოთა კანონმდებლობა აქტივისტების წინააღმდეგ — როგორ კლავენ პროტესტს საქართველოში“;18.10.2023; იხ. ბმული

დამახასიათებელი მნიშვნელოვანი პრინციპი. თუმცა, მოქალაქეთა დაცვა ვერც სასამართლომ მოახერხა, რადგან, ძირითად შემთხვევებში, სასამართლო მტკიცების სტანდარტების დარღვევით, მხოლოდ პოლიციელის ჩვენებებზე დაყრდნობით იღებდა გადაწყვეტილებებს. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და იწვევს მტკიცების ტვირთის სახელმწიფოდან მოქალაქეზე გადასვლას, რაც არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას.[39] მნიშვნელოვანი იყო, რომ აქციაზე დაკავებული პირების საქმეებში სასამართლოს გადაწყვეტილებები არ ყოფილიყო შაბლონური, რადგან დაკავებულები სხვა უფლებებთან ერთად დაკავების პროცესში შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობდნენ.[40] ამის მიუხედავად, სამწუხაროდ, სასამართლომ, რიგ შემთხვევებში, ვერ მიიღო დასაბუთებული გადაწყვეტილებები.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ პრობლემად რჩება სასამართლოს მიერ ამ ტიპის საქმეებზე მიღებული დადგენილებების დასაბუთების ხარისხი, რომლებიც შემდგომ დაუსაბუთებელ ჯარიმებზეც აისახება. როგორც წესი, დადგენილებებში არ არის მითითებული თუ რა ქმედებით ჩაიდინეს პირებმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. შესაბამისად, სასამართლოს დასაბუთებაში არ არის მსჯელობა საქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე არგუმენტებზე. ეს კი შეუთავსებელია როგორც ადგილობრივ კანონმდებლობასთან, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტთან.[41]

- **ჯარიმა თუ რეპრესიული მექანიზმი**

ხელისუფლებამ ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოში მიღებული კოდექსი ეფექტურად გამოიყენა პროტესტის შესასუსტებლად და აქტიური მოქალაქეებისთვის ფინანსური ბარიერების შესაქმნელად. მაგალითად, მხოლოდ 2023 წლის 7-8 მარტის აქციებზე დაკავებული 16 პირისთვის დაკისრებული ჯარიმების ოდენობა 40 000 ლარს აჭარბებდა.[42]

[39] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში; „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ"; 2020; გვ. 146; იხ. ბმული

[40] Moreira Ferreira v. Portugal (No.2) no. 19867/12, § 84, 11/07/2017.

[41] საია; „ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ 7-9 მარტის აქციის დაშლასა და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შეფასება"; 2023; გვ. 52; იხ. ბმული

[42] ნეტგაზეთი; „საბჭოთა კანონმდებლობა აქტივისტების წინააღმდეგ — როგორ კლავენ პროტესტს საქართველოში"; 18.102023; იხ. ბმული



ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმეების მიხედვით, ყველა პირს, რომელიც აქციაზე იყო დაკავებული, სწორედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს ედავებოდნენ. მათგან უმრავლესობას 2300 ლარიანი ჯარიმა დაეკისრა, განურჩევლად იმისა, ირღვეოდა თუ არა დაკავებულთა უფლებები და, საერთოდ, იყვნენ თუ არა უსაფუძვლოდ დაკავებულნი. მეტი თვალსაჩინოებისთვის, შეიძლება ითქვას, რომ მაისში აქციაზე დაკავებულ პირებთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი იურისტის მიერ წარმოებული ათი საქმიდან 7 საქმეში აქციის მონაწილეებს ჯამში 15 700 ლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრათ.

აქტივისტების თქმით, პროცესების ერთობლიობა, რომლის გამოვლაც მათ უწევთ, ლახავს მათ ადამიანურ ღირსებას და უქრობს სიცოცხლისა და დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრების ყველანაირ სურვილს. სწორედ ასეთ შედეგს ისახავს მიზნად ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც კანონის სახელით სჯის დაუმორჩილებელ ადამიანს. როგორც წესი, აქტივისტები პროტესტის ნიშნად არ იხდიან ჯარიმებს, ასეთ დროს, მათ საბანკო ანგარიშს ხანგრძლივად ადევს ყადაღა. ხელფასის ჩარიცხვის შემთხვევაში, თანხა მთლიანად სახელმწიფოს მიაქვს. ამიტომ სტუდენტებს სტუდენტური ბარათის გამოყენებაც არ შეუძლიათ შეღავათების მისაღებად. მაგალითად, ერთ-ერთი სტუდენტის ჯარიმა 2 წლის განმავლობაში 15 000 ლარამდეც კი ავიდა. ამ ჯარიმებს მსუსხავი ეფექტი აქვთ. ზოგიერთ აქტივისტს მხოლოდ იმიტომ აღარ სურს აქციაში მონაწილეობა, რომ ოჯახი ფინანსური პრობლემების წინაშე არ დააყენოს. ამ საკითხთან დაკავშირებით, ერთ-ერთი აქტივისტი განმარტავს: *„ზოგადად პროტესტის დასუსტების საქმეში ასეთ ერთი შეხედვით წვრილმან რეპრესიებს საკმაოდ დიდი როლი აქვს. როცა გაქვს განცდა, რომ ქვეყნის ღირსებას ცხვირწინ გაცლიან, მომავლის პერსპექტივას თვალწინ გიკლავენ და ერთადერთი, რაც შეგრჩენია, ხმამაღალი პროტესტია, სასაცილოდაც არ გყოფნის მოსალოდნელი რეპრესიები. მაგრამ როდესაც საღამოს*

სახლში მიდიხარ (თუ მიდიხარ) და რჩები შენს ყოველდღიურობასთან, სადაც აღმოაჩენ, რომ უსამართლობის მახრჩობელ განცდას ათასობით ლარის ვალიც ახლავს თან, ყველაფერი უფრო რთული ხდება."[43]

შეკრების თავისუფლებაში ჩარევასთან ერთად, მკაცრმა სანქციებმა შესაძლოა მსუსხავი ეფექტი იქონიოს აქციაში მონაწილეობის მსურველებზე. ამიტომ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შემთხვევებში, შესაძლოა საერთოდ გაუმართლებელი იყოს ჯარიმების დაკისრება აქციის მონაწილეებსა თუ ორგანიზატორებზე.[44]

აქვე აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები ე.წ. რუსული კანონის საწინააღმდეგო აქციებზე დაკავებულ პირებს უწევდნენ უფასო იურიდიულ დახმარებას. ასევე, სამოქალაქო სექტორი აგროვებდა დონაციებს, რათა აქციების შედეგად დაზარალებული პირებისთვის უზრუნველეყო ჯარიმების გადახდა.[45]

VI. დასკვნა

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" რუსულმა კანონმა მედიასაშუალებებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მარგინალიზებასთან ერთად, საქართველო დააშორა დემოკრატიულ სივრცეს. აქედან გამომდინარე, რუსული კანონის საწინააღმდეგო აქციებზე ათასობით ადამიანი იღებდა მონაწილეობას. დემონსტრანტების მიმართ გამოყენებული იყო არათანაზომიერი საპოლიციო ძალები და ადმინისტრაციული დაკავებების პრობლემური პრაქტიკა, რაც შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების უხეშ დარღვევას წარმოადგენს. ამასთან, აქციის მონაწილეთა მიმართ დაფიქსირდა არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები, რაც შესაძლოა წამებასაც კი გაუთანაბრდა. აღსანიშნავია, რომ ფიზიკური ანგარიშსწორების მსხვერპლნი ძირითადად სამოქალაქო აქტივისტები გახდნენ.

საბჭოთა კავშირის პერიოდში, 1984 წელს მიღებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებები გულისხმობს სახელმწიფოს მიერ რეპრესიული და სადამსჯელო მექანიზმების გაძლიერებას, რადგან კოდექსი ისედაც შეიცავდა უფლებებში არათანაზომიერი ჩარევის საფრთხეს.

---

[43] რადიო თავისუფლება; „"ფინანსური სანქციები" აქტივისტებს - ათასობით ლარის ჯარიმა და დაყადაღებული ანგარიშები" 09.2022; იხ. ბმული

[44] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) OSCE OFFICE FOR DEMOCRATIC INSTITUTIONS AND HUMAN RIGHTS (OSCE/ODIHR) GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY; CDL-AD(2019)017; 2019; Para 222; იხ. ბმული

[45] მაგალითად, იხ. ადამიანის უფლებათა სახლი; „განახლება მიღებული დონაციის და გახარჯული თანხების შესახებ"; იხ. ბმული

აღნიშნული ცვლილებები, კიდევ უფრო აუარესებს ქვეყანაში მშვიდობიანი შეკრებისა თუ პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლებას, ზრდის საპოლიციო თვითნებობისა და ადმინისტრაციული სანქციების უსაფუძვლოდ გამოყენების რისკებს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სამართალდარღვევის ჩადენისთვის ითვალისწინებს მძიმე სახდელებს, მაგალითად, ადმინისტრაციული პატიმრობის სახით. თუმცა, მასში ბევრად უფრო ნაკლებად არის გათვალისწინებული პროცედურული გარანტიები, ვიდრე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომლითაც მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირიც კი პროცედურულად მეტად დაცული გამოდის.

არსებული კონტექსტიდან გამომდინარე, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა დაკავებული დემონსტრანტების სასამართლო პროცესებმა, რადგან ის ახდენს გავლენას როგორც ცალკეული მოქალაქეების უფლებებზე, ისე ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე. სამწუხაროდ, მოსამართლეები, როგორც წესი, შსს-ს თანამშრომლებს არ ავალდებულებდნენ საქმეზე მტკიცებულებების წარმოდგენას და მხოლოდ პოლიციელების ახსნა-განმარტების საფუძველზე ადგენდნენ სამართალდარღვევებს. შედეგად, საქმეში არსებული გარემოებები, მტკიცებულებების ნაკლებობა, დადგენილებების ბლანკეტურობა და გამოყენებული მაღალი ადმინისტრაციული ჯარიმები, სასამართლოს კიდევ ერთ სადამსჯელო ინსტიტუტად აქცევს, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის ნაცვლად, რიგ შემთხვევებში, კრიტიკული აზრის ჩახშობისა და რეპრესიული მექანიზმების გამტარებელია.

ჯარიმების დემონსტრანტებისთვის დაკისრების პრაქტიკას მსუსხავი ეფექტი აქვს აქციებში მონაწილეთა მსურველებზე, რადგან ფინანსური პრობლემები, ერთი მხრივ, ეკონომიკურ იზოლაციაში აქცევს აქტივისტს, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა ადამიანებს ანიშნებს, რომ თუ გარემოებებს არ შეეგუება, მასაც ათასობით ლარის გადახდა მოუწევს.

VII. რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს

- შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანი იქნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმის პროექტის შემუშავება. მნიშვნელოვანია, პროექტმა მოიცვას ადმინისტრაციული წესით პასუხისგებაში მიცემული პირების უფლებების დაცვის გარანტიების გაუმჯობესება; დაკავების კანონიერების შემოწმების სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება; საქმეებზე მტკიცების ტვირთის სტანდარტების გაუმჯობესება და სანქციების შესაბამისობის გადახედვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

- დაიცვას დაკავებულის უფლებები. მათ შორის, მიიღოს ზომები, რათა დაკავების პროცესში შესაბამის პირებს განემარტოთ ადვოკატის ყოლის უფლება და მიეცეთ შესაძლებლობა, გამოიყენონ კანონმდებლობით გარანტირებული ზარის განხორციელების უფლება; ადვოკატებს მიეცეთ დაკავებულის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის სატელეფონო რეჟიმში მიღებისა და მასთან დაუყოვნებლივ შეხვედრის შესაძლებლობა; აღმოიფხვრას დაკავებული პირების პოლიციის მანქანაში არაგონივრული ვადით დაყოვნების პრაქტიკა.
- აქციის ფასილიტაციის პროცესში ჩართოს მხოლოდ შესაბამისი კომპეტენციის მქონე დანაყოფები. აღმოფხვრას დაკავების პროცესში და დაკავების შემდგომ აქციის მონაწილეთა მიმართ ანგარიშსწორებისა და ფიზიკური ძალადობის შემთხვევები.
- აქციებზე, სადაც, მოქალაქეთა დაკავების მომეტებული რისკი არსებობს, სავალდებულო გახდეს სამართალდამცავების მიერ სამხრე კამერების ჩართულ მდგომარეობაში ტარება ნეიტრალური მტკიცებულებების შეგროვების მიზნით.
- დაიცვას შეკრების თავისუფლება და აღკვეთოს მასში გაუმართლებელი საფუძვლით ჩარევა, ასევე ლეგიტიმური მიზნის გარეშე საპროტესტო აქციების დაშლა ან სპეციალური საშუალებებისა და არაპროპორციული ძალის გამოყენება.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს

- უზრუნველყოს შსს-ს თანამშრომლების მხრიდან აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების დროული, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება და უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი პირების პასუხისგებაში მიცემა.

საერთო სასამართლოებს

- დაიცვას საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებები და არ გამოიტანოს დაუსაბუთებელი ანდა ბლანკეტური გადაწყვეტილებები.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების განხილვის პროცესში იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტებით.